

სახალხო გაზეტი

საქართველო
გაზეთის № 1077

დამატების № 189

ოთხშაბათი, 25 დეკემბერი 1913 წ.



ყრმა იესო და ფარისეველები.

მ ე ღ რ ე ბ ა

ზღვის უფსკრულში ჩავეშვები, ამოვიკრეფ ფირუზ-ლალეს; პირფარეშად გამსახურებ ფერიებს და გრძნეულ ალებს... მთვარის სხივით დაწნულ ძაძას მოგაბურავ ქალთა-მზესა; კოშკს ღრუბლებში ავიშენებ, არ გაკრთობდეს მიწის კვნესა...

ვარსკვლავებით აუშენებ შენს კოშკს მაღალ გალავანებს, ბაღს მოგირთავ ზურმუხტებით, შიგ გიხარებ ვარდის ყანებს... მაღალ მთებით შემოგზლოდავ, გარს მოგაიღებ წყლიან ხაროს; ანგელოზებს შემოგარტყავ—მტერი ველარ მოგეპაროს...

ცის მანანით გასაზრდოვებ, უკვდავების გასმეფ წყაროს, იის ცრემლით პირსა დაგბან, ეშხით ვერვინ შეგედაროს... უფავილებით ხალს მოგიქსოვ ოქროს ფეხ-ქვეშ გასაშლელად, ელვის ებანს გაგიკეთებ მოწყობის დროს დასაკრელოდ...

იადონებს ვაგალობებ ჰანგებს შენთვის ყოველ დამეს, საცეკვაოდ მოგიმზადებ ნაზ კამარას მოკამაჩაფის... ამირანსა დაგამონებ შენივ ეშხის ტყევესა, სნეულს, ლალ ოცნების სილამაზეს მოგათავაზებ ხატად ქვეყულს...

შავ-ბნელ სიკვდილს მოგაშორებ, მზის სხივების გიძღვნი კონას; ღმერთს ვანატრებ შენს დადებას, ოქროს მოგვიმ მიწის წონას... შეფის ტახტზე თავს დაგადგავ გვირგვინს აღმას-იაგუნდით. ოლონდ, დედი, ნუ იქნები სახარელი მონის ხუნდით...

კ. კენა-ფშაველი.

უზენაესი საგალთბელნი

რაბინლკანათ თაგოკანის

თარგმანი გერმანულადან *)

I. ქმნილი უსაზღვროდ—ასეთია შენი სურვილი. უძლოურ არსებას მყოფ ცალიერს მარად და მარად და კვალად მავსებ ყოველ ჟამსა ახალ სიცოცხლით.

შენ დააქროლებ ჩემს პაწია ლერწმის საოამურს ირგვლივ მთა-ბარად და აღმოაბგერ მისგან მარად ჟამს ახალ სიმღერას.

პაწია გული მაგ უკვდავის ხელის შეხებით თვის საზღვარს ჰკარგავს სიხარულში და გამოუთქმელს სიტყვებს ჰქმნის იგი.

შენს ნიქს მადლიანს სამუდამოდ დაუსრულებელს მხოლოდ ამ მცირე და მეტად სუსტ ხელში ვლებულობ, საუკუნენი ინთქმებიან, მარად გადმოჰღვრი, მაგრამ მარადვე რჩება სივრცე აღსავსებელიად.

—:—

*) ინდოეთის ბრძენმა მწერალმა მიიღო ნობელის პრემია. ორიგინალური არ ვიცი რანაირ ლექსად არს დაწერილი. გერმანულად პროზად არის ნათარგმნი ბიბლიურ ცნით, ხოლო მე ქართულად გარდავსთქვი, როგორც კი მოეწყო. ა. შ.—ლ.ა.



წმ. ნინოს მონასტრის ნანგრევები გერგეთის მყინვარზე. მარჯვნივ მოსჩანს ღრუბლებში გახვეული „მყინვრის“ მწვერვალი. (იხ. დღ. „სახ. გაზეთი“)

და უნდა იქმნეს მუდმივ ჩემს ცლად შენ განგაშა მოქმედებაში, რადგან ვიცი, რომ შენი ძალა მადლივს მე ღონეს სამოქმედოდ.

V. გემუდარები მხოლოდ მცირე შეწყნარებისთვის, რათა შენს გვერდით დასაჯდომად ადგილი ვპოვო, რომ თხუზულეა ჩემი იქმნეს დასრულებული.

შენის ხატების დაშორებით მხერის ქვეშ მყოფმა გულმა არ უწყის არც სიმშვიდე, არც მოსვენება; და ჩემგან თხუზული უსაზღვრო რამ გარჯა იქმნება მოუსვენარსა, უნაპირო გარჯაა ზღვაზე.

დღეს ფანჯარიდან შემოიჭრა ზაფხული თვისის ბზუილ-გუგუნით და ფუტკრებმა იწყეს გალობა სიყვარულისა აყვავებულ ბაღის წიაღზე.

ქამია შენთან დაყმუნვებით პირისპირ ჯდომად, რომ გიგალობო ცხოვრებისა მოვალეობა მოცალეობის ქამსა მყუდროს, გადმოშქეფარეს.

VI ამა, დაჰყნოსე პაწა ყვავილს და თან წარიღე. ნუ დააყოვნებ, რადგან ვშიშობ იგი დასქენება, ნაზის ფურცლებით დაბლა მტვერში ჩაიფერფლება.

იგი ვერ პოვებს შენს გვირგვინში თუმცა ადგილსა, მაგრამ პატივ ეც დამტანჯველის ხელის შეხებით და ის მოსწყვიტე. ვშიშობ, ძალუძს დღეს დასრულება, ვიდრე მე ამას თვით შეგნიშნავ და მაშინ ქამი მსხვერპლშეწირვისა გარდასული უკვე იქმნება.

განა თუ ფერი თვის სიღრმესა მოკლებულია და სურნელება ამ ფერისა ნაზი არ არის? გამოიყენე ყვავილები შენად მსახურად, და ვიდრე დრო გაქვს, დაეჩქარე იმათ მოწყვეტას.

VII. ჩემმა სიმღერამ თვით უარპყო მოკაზმულობა, რა ბედენაა ტანსაცმელის ზიზილ-პიპილი! მოკაზმულობა დაარღვევა ჩვენსა ერთობას, იგი ჩვენს შორის შემოჭრილი დაგვაშორებდა და შენსა ჩურჩულს ამოსწოვდა თვისის ჟღარუნით.

ჩემი მგონსური ზვიადობა კვდება მორცხვობით შენსა წინაშე, ჰოი დიდო ოსტატ-მგოსანო!



წმ. ნინოს მონასტრის ნანგრევები გერგეთის მყინვარზე, კავკასიონის მწვერვალებზე. ნანგრევების ზევით, ააღაც ჯვარი მოსჩანს, გაშენებულია სენაკი.

(იხ. დღ. „სახ. გაზეთი“)

II. ოდეს მიბრძანებ ვიგალობო მწყობრი გალობა, გული საგულეს აღარა მაქვს სიამაყისგან, შენს სახეს ვუმზერ და თვალეში ცრემლი მადგება. ყველა უხეში, არა-მწყობრი ჩემს ცხოვრებაში დნება ერთს ტკბილსა და სანატრელ ჰარმონიაში— ამ დროს ფრთებსა ჰშლის ჩემი კრძალვა, თაყვანისცემა, ვითა ფრინველი მხიარული ტბაზე მქროლავი.

ჩემი გალობა ვიცი გახარებ და ისიც ვიცი, შენს წინაშე მხოლოდ მომღერალს ძალიძის წარმოვსდგე.

გალობის გაშლილ ფრთათა კიდურით ოდნავ ვეხები შენთა ფერხთა, რომელთ მიხწევა არც თუ შექმნების ლტოლვილებად.

გალობის შეგება-სიხარულით მთვრალი ვივიწყებ ჩემს თავს სრულიად და გიწოდებ შენ ჩემს მეგობრად, შენ, რომელიც კი ბატონი ხარ, ჩემი მეუფე.

III. შენ თვით მოძღვარი რარიგ ჰგალობ, ეს მეც არ ვიცი, მაგრამ ყურს გიგდებ მარად მყუდროდ განცვიფრებული.

შენი სინათლე მუსიკისა სოფელს ანათებს, შენი მუსიკის ცხოვრებას სუნთქვა მიჭირის ზეციდან სხვა ზეცისაკენ. წმინდა წყარო მაგ მუსიკისა არღვევს კლდე-ქვათა დაბრკოლებას და წინ მიილტვის.


ჩემს გულს სწყურია შენს გალობას შემოუერთდეს, მაგრამ ამაოდ ხბმესა ეძიებს.

სიტყვის თქმა მსურდა, მაგრამ სიტყვა წმინდა გალობას არ ეთვისება და ვკივი მე მიტოვებული. ო, ტყვედ შენა გყავს ჩემი გული შენის სიმღერის უსაზღვრო ყულფში, ჩემო ოსტატო!

IV. ჩემის სიტოცხლის სიტოცხლეო! მუდმივ საზრუნვად აწ ეს შექმნება, რომ დავიცვა თავი მე წმინდად იმის შეგნებით, რომ ჩემს გვამზე შენი ცხოველი სუნთქვა არსებობს.

მუდამ ვიზრუნვებ, განვიშორო აზრთა ჩემთაგან ყოვლი სიცრუე, რადგან ვიცი შენ ხარ სიმართლე, რომელიც სულში მინთებს მარად აზრის სინათლეს.

მუდამ ვიზრუნვებ, ბოროტება გულით განვდეგნო და სისხლში ჩემი სიყვარული განვასპეტაკო, რადგან მე ვიცი, რომ შენ უფლობ ამ ჩემის გულის ყოველ სიწმინდეს.



„მყინვარის“ მწვერვალი და გერგეთის მყინვარი, სადაც 12 ვერსისა და 372 საყენის სიმაღლეზე აღმოაჩინეს წმ ნინოს ტარის ნანგრევები. (იხ. ღღ. „სახ. გაზეთი“)

შენთა ფერხთ ქვეშე დავეყრდნე მე. დე, ჩემს ცხოვრებას ვქმნიდე მარტივსა, ვქმნიდე სადას, მსგავსად მაგ შენის სალამურისა, რომ აღავსე მწყობრხმოვანებით.

VIII. ბავშვი, რომელიც ტანთ-შემოსეს მბრწყინავ სამოსით და შეიქედა ძვირფას თვლებით, სრულად დაჰკარგა მან თვისი შვება, სიხარული თამაშობისთვის, შეზღუდულია დაბრკოლებით ყოველ ნაბიჯზე თვისის მორთულის ტანსაცმელით.

შიშობს დაეხას, ანუ ქუქუყისგან შეესვაროს—თვის თავს იკავებს სოფლის გარეშე და ცახცახებს წვიმის წინაშე.

დედაო ჩემო, რა მოგებად უნდა ჩავსთვალო იძულებით მორთულობა, ოდეს ჩვენ იგი გვასალმებს სოფლის გამკურნავსა, სასარგებლო მტვერს, ოდეს ჩვენ იგი წინ წარდგომის უფლებას გვტაცებს, რომ კაცთ ცხოვრების მოედანზე ფერხულს ჩავებათ?

IX. ღრუბელი ღრუბელს შემოადგა და ჩამობნელდა.

რისთვის დამტოვე, საყვარელო, კიშკრის წინაშე მარტოდ მარტოკა?

მოქმედებისა შუადლის ჟამს ვსდგევარ ხალხის წინ, მაგრამ ამ ბნელსა, განმხოლოვებულ დღეს მხოლოდ შენზე მე ვიმედოვნებ.

თუ შენსა სახეს არ მაჩვენებ, თუ განზე დამყოფ, არ ვიცი, როგორ გადავიტან ავდრიან წუთებს.

ზეცის შორეულ ციმციმითა განცვიფრებულგარ და ჩემი გული მოთქმით თანსდევს დაუცხრომელ ქარს.

X. რას არ საუბრობ, მსურს ჩემი გული შენსა სიხუმეს შემოვუერთო და მოვითმინო.

ველი და ვმყუდრობ, ვით ღამე შენის ვარსკლოვანის დარაჯებითა, ღრმად თავდახრილი მოთმინებით შენსა წინაშე.

და განთიადი უეჭველად აღმოანათებს, ბნელი განქრება და შენი ხმა ოქროს მდინარედ გადმოჰხეთქს ზეცას და მჩქეფარედ გადმოიღვრება.

შენი სიტყვანი ამ დროს ჩემის საგალობლიდან რხევას იწყებენ და ეგ შენი მწყობრხმოვანება ჩემის წალკოტის ყვავილებში აღმოცენდება.

XI. იმ დროს, ოდესაც დუმფარა ჰყვოდა ახ, ჩემი სული ცდომილებაში დატანტალდება.


და ეს მე ამ დროს სულ არ ვუწყობდი. ჩემი კალათა ცარიელ დამრჩა ხოლო ყვავილი მთლად მოუვლელი.

ოდეს შემბოჭა მე მწუხარებამ, გამოვიფხიზლეთ და ვიგრძენ ნაშთი სურნელებისა ჩრდილოს ნიავში.

ნაცოფიერი სიტკბო მტანჯავდა ნდომის სურვილით და მომეჩვენა, ვითომც ზაფხულის მხურვალე სუნთქვა ის ყოფილიყო, რაიც ეძებდა თავის დასასრულს.

არც ის ვუწყობდი, თუ იგი ახლოს იმყოფებოდა, რომ ჩემი იყო და სასურვი სიტკბო ამ ჩემის გულის სიღრმეში მქონებია აჰყვავებულთ.

ა. შანშიაშვილი.



უფთლავი კი სვნიოდს... სვნიოდა

ჩემო მშვენიერო!.. ჩემო ანგელოზო!.. ჩემო... ჩემო... ღმერთო ჩემო! აღარ მინდა ეს გაცვეთილი სიტყვები! ისეთი სახელით მინდა მოგმართო, რომელიც დღემდის არც ერთს მიჯნურს სატრფოს ალერსში არ ეხმაროს!..

არც ის მინდა, რომ ჩვენს გრძობას „სიყვარული“ ერქვას!..

ასე მეჩვენება, რომ ეს სიტყვა სრულიად ვერ გამოჰხატავს ჩემს გრძობას! შენდამი.

აი, ჩემს ლაპარაკზე მუდამ იცანი. მე ეგ არ მიყვარს, თითქოს დამცინი, მაგრამ მე კი ვგრძობ, რომ ჩემი გრძობა რაღაც უსაზღვროა, ძალიან მაღალი! სხვებისთვის მიუწოდომელი, ძალიან წმინდა, უმანკო!—ნელის მომხიბლავის ხმით ჩასჩურჩულებდა ახალგაზდა ქალის თვის სატრფოს და თან მისჩერებოდა მის საიდუმლოებით გამომზიარალს თვალებს, თითქოს პასუხს იქიდან ელოდა.

— სცდები, ჩემო მშვენიერო! ჩემი სიცილი უსაზღვრო სიამოვნებას, უსაზღვრო ნეტარებას გამოჰხატავს შენივე ალერსით გამოწვიულს. მართალი ხარ. შენი გრძობა ფრიალ მაღალია, მართლაც ბევრისთვის მიუწოდომელი. შენი გრძობა წმინდაა... უმანკო, ვით თვითონ შენ, ჩემო უმანკო ბავშვო!—უპასუხებდა ვაჟი და თან მის გახურებულ ტუჩებს უანგარიშოდ ეკონებოდა.

მშვენიერ წალკოტის ხევის ბოლოში ხის სკამზე ისხდნენ, რომელსაც მოსეირნეთა თვალთაგან გარს შემოხვეულ ვარდის ბუჩქები ჰფარავდა.

გაზაფხულის მომხიბლავი დილა იყო.

მზის ცელქ სხივებს ჯერ კიდევ არ აეკრიფნა ვარდ-ყვავილთა ფოთლებიდან მარგალიტად გაბნეული დილის ნამი რომელიც ხავერდივით ასივსივებდა წალკოტში მობიბინე მწვანე ბაღასს.

ვარდ ყვავილთა დამატრობელი სუნელები ყნოსვას უტკობდა ალაპინს, ფრინველთა გამაცოცხლებელი ქრიაშული

ისე ტკბილად მომხიბლავად ჰხდინენ სიცოცხლეს, რომ კაცი უნებლოდ უერთდებოდა მათს აღტაცებას და სწამდა ამ სიცოცხლის სიტკბოებას.

— რა ტკბილია სიცოცხლე! — განაგრძობდა ქალი — რა მომხიბლავია ამ ღილით ბუნება!.. დღეს ისეთ სიხალხოვეს, ისეთ მეგობრულს კავშირს ვგრძობ მასთან, როგორც ეს არა დროს არ მიგვრძენია.

აი... ასე მგონია, რომ ყოველი მისი ნაწილი ჩემს ბედნიერ წუთებს იზიარებს!..

ისე მეჩვენება, თითქოს დღეს წალკატში მეტი ვარდ ყვავილია გაშლილი, რომ ისინი დღეს მეტად უხვად ჰფენენ წალკატს თვის ნახუნელებს; ისინი ამ სუნელებს ჩვენს ბედნიერ სიყვარულს უკმევენ!..

გესმის ფრინველთა სიცოცხლით სავსე ხმაურობა? ისინი ახალ ჰიმნს ჰქმნიან ჩვენის გრძობის სადიდებლად!..

ჰხედავ როგორ საამუროდ ღელავს დილის ნამ ნაჰკურები ნორჩი ფოთლები!.. როგორ ნეტარებოთ თრთიან ცეცქი წიავის მიკარებაზე!

ისე მეჩვენება, თითქოს ისინიც შეყვარებულები არიან!.. ჩემს სმენას ჰხიბლავს მათი საამური შრიალი!..

ისინი მიაშობენ სიყვარულის მომჯადოებელს ზღაპარს!..

— დიახ, ჩემო მშვენიერო, ისინიც შენსავით შეყვარებულნი არიან: იმათაც უყვართ სიცოცხლე!.. ისინიც შენსავით მარტო მომავლით სიცოცხლობენ... იმათაც შენსავით ჯერ წარსულისაკენ არ გაღუბენდნიათ, — ეუბნებოდა ვაჟი.

— იმათაც უყვართ სიცოცხლე? მეც ხომ სიცოცხლე მიყვარს! ეს სიცოცხლე კი შენ ხარ. უშენოდ ჩემი სიცოცხლე წარმოუდგენელია!..

ისე მეჩვენება, რომ ჩვენი სიყვარული ჩვენზე წინეთ იყო და ჩვენ შემდგომაც იქნება! როდესაც ერთმანეთს არ ვიცნობდით, ჩვენს სულს ერთმანეთში რაღაც საიდუმლო კავშირი ჰქონდა და ეს კავშირი იქნება მათ შორის მაშინაც კი, როცა ჩვენ აღარ ვიქნებითო! — ამ სიტყვებზე ქალი გააჟრჟოლა და მაგრად შემოეკლო მკლავებით კაცს.

— ოხ! რა უდროოდ გამახსენდა წყეული სიკვდილი! სწორედ მაშინ გაივლის ადამიანის წინ მისი ბოროტი ლანდი, როდესაც ადამიანი მთელ სიცოცხლის ნეტარებას განიცდის.

— ეს მისი დაცინვაა, ჩემო ანგელოზო! ის გვაგონებს, რომ ყველანაირი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში ერთ დროს მის სასტიკი კანონის მსხვერპლი გახდება. გაჰქრება, მოისპობა.

ქალს ლახვარსავით მოხვდა ეს სიტყვები და გულში საშინელი ყრუ ტკივილი იგრძნო.

— გვაგონებს, რომ ჩვენს გრძობასაც ერთ დროს ბოლო მოეღება? არა, მწამს, რომ სიყვარული უკვდავია, საუკუნო, თვით სიკვდილზედაც უძლეველი, მასთან სიკვდილის სასტიკი ხელიც კი უძლეურია!

— მეც შენს გვერდით ყველაფერი მწამს, ჩემოსი ხარული! როგორღა გაჰბედავს ეჭვი შეეხოს იმ სულს, რომელიც შენს უმანკო სულთან არის შეერთებული. მწამს, მწამს, რომ ჩვენი სიყვარული საუკუნოა, — განაგრძობდა ვაჟი და თვისი მომჯადოებლის თვალებით მისჩერებოდა ქალის ცრემლ-მორაყულს თვალებს.

ქალი მთლად მონა გამხდარიყო გრძობისა. ეს იყო მისი ჰირველი სიყვარული, რომელსაც მაგრად ჩაეკიდნა უძლეველი ბრკვალები მისი ნორჩი გულისთვის.

კაციც ცდილობდა მის გვერდით თავდავიწყების ბურუსში გახვეწულიყო, ისიც ცდილობდა მხოლოდ აწმყოთი დამტკბარიყო, მაგრამ მის წინ დგებოდა წარსული მთელის თვისის სისასტიკით, მის თვალებს, ვითა აჩრდილი, გაურბოდა წინ მთელი მისი წარსული ცხოვრება და მთელი მისი არსება ქალის უმანკოების წინაშე საშინელ სირცხვილს და სულიერ ქეჯნას განიცდიდა.

ქალი ზაინც ბედნიერი იყო: მას უყვარდა და სწამდა ვაჟის სიყვარულიც!..

მზის ცეცქი სხივები ცბიერად ეთამაშებოდა მის ბედნიერების გამოხატველ სახეს, და ხის ნორჩი ფოთლები ცელქი

წიავისგან ახმაურებულნი შრიალით მოუთხრობდნენ სიცოცხლის ხლის ტკბილ ზღაპარს.

შემოდგომის ქარის გულშემზარავ გუგუნს კენისით ბანს აძლევდა სასტიკი სენით შეპყრობილი სნეული ბუნება.

ერთ დროს შვენებით სრული, სიცოცხლით სავსე წალკოტი, დღეს გაცარკული საშინელ სიბრალოლს იწვევდა და ადამიანის გულს სევდით ავსებდა.

თავდახრილი ვარდის სევდით სავსე ბუჩქები გულ-ჩეთუთქულნი იგონებდნენ ნეტარ წარსულს!

ჩამომქნარი ხის ფოთლები ამაოდ ებლაუქებოდნენ თვის საყვარელ ტოტებს, შეუბრალებელი ქარი ყოველ წამოქროლვაზე ურიცხვად ჰგლეჯდა მათ და ჰაერში აფრიალებდა!.. ფრინველთა საამურ გალობის ნაცვლად გატიტვლებულ ხმების გმინვა და ქარის გამუდმებული გუგუნე ჰკვეთდა ადამიანის სმენას!.. ნაცნობ სკამზე მარტო ქალი და მოსჩანდა...

მის სახეს კმუნვის ბადე გადაჰკროდა!.. ცეცხლის მფრქვეველი თვალები დღეს სევდის ზღვად ქცეულიყო.

— აი, აქ... აი, ამ წალკატში... აქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ განაგრძობდა ქალი, — აქ აყვავდა და გაიფურჩქნა ჩემი პირველი გრძობაა მაშინ ბუნებაც ჰყვავდა! მეც და ბუნებაც ჩვენი გრძობის გაზაფხულს ვდღესასწაულობდით!.. გაზაფხულის რწმენით ზე იმედებით სავსე ბუნებას სწამდა სიცოცხლის მომტანი მომავალი ზაფხული და მეც მწამდა მასში განხორციელებული ჩემი იდეალი!

ჩვენი ბავშურის რწმენით მარტო აწმყოთი ვცხოვრობდით... და ჩვენს ბედნიერ წუთებს ერთმანეთს უზიარებდით!..

ბუნებამ არ იცოდა, რომ ნეტარ ზაფხულს ქურდულად მოეპარებოდა ბოროტი ლანდი სასტიკი შემოდგომისა და მეც აწმყოთი ბედნიერი ვერ ვგრძნობდი, რომ ჩემი კერპი, რომელშიც მე ჩემი იდეალი განვასახიერე, თურმე ყალბი ლითონისგან იყო ჩამოყალიბებული, რომელმაც ვერ გაუძლო მწვავე სხივს ცხოველი გრძობისას და პირველსავე მის მიკარებაზე დაიწვა...

ოხ, რა საშინელი უფსკრული ჩაწვა ჩემს და მის შორის!..

ისე მეჩვენება, რომ მე ის არას დროს არ მიცვნიან. აუტანელ შიშს ვგრძნობ მისი წარსულის წინაშე! ეხ, კარგი იყო სიბრმავე!.. დეე, არ მცოდნოდა არაფერი. დეე, ჩემისვე ოცნებით მოტყუებულს, თვალებ ახვეულს მელოცნა მისი ყალბი ჰანდაკების წინაშე!.. ახლა კი მის დანაცრებასთან, დანაცრდა ჩემი რწმენაც ცხოვრებისადმი. დაახ! მე და ბუნება ჩვენი ყალბი იმედების ჰირსუფალნი ვართ დღეს!

მას მომაკვდავს, ხომ ბოროტად დაჰკივის გამარჯვებული შემოდგომის ქარი... ჩემს დამსხვრეული რწმენის გარშემოც ბოროტად გაისმის დემონიური ხარხარი დაუდგრომელი თამთა ბრუნვისა.

ამაოა ვედრება გაყვითლებული ხის ფოთლებისა ისინი ვეღარ დაიბრუნებენ განვლილ ზაფხულს!..

მეც მინდა მისი დამსხვრეული კერპი კვლავ აღვმართო ჩემ წინ სალოცავად. — მინდა გადავლახო ის თვალთ განუზომელი უფსკრული, რომელიც მის და ჩემს შორის გამოჩნდა, მაგრამ ეს ჩემს სულიერ ძალას აღემატება.

ის ჩემთვის სრულებით უცხოა!..

ის არას დროს არ მიცვნიან!..

არც ვიცი, რისთვის მოველ აქ?..

ნუ თუ შემძლიან კვლავ შევხვდე მას, რომელიც ჩემში მარტო შიშს და სიბრალოლს და იწვევს? არ შემძლიან!.. მე წავალ. — ქალი ნელის ნაბიჯით გავიდა წალკოტიდან, ბუნება მოთქმით ხმას აძლევდა მის გულის ამოძახილს, მისი წარსული ბედნიერების მოწამე ხის ფოთლები კი სცვივოდა... სცვივოდა!..

სევდია.

